



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 10 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №161/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- 2019 წლის 16 სექტემბრის №161 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ მოახდინა სათანადო რეაგირება პროცესის მონაწილეთა მხრიდან კანონის დარღვევისა და სხვა მხარეების უპატივცემულობაზე. კერძოდ:

ა) მოსამართლემ რეაგირების გარეშე დატოვა მესამე პირის და საჯარო რეესტრის წარმომადგენლის მხრიდან მოსარჩელების და განსაკუთრებით --- მიმართ დამცინავი, ღირსების შემლახავი გამონათქვამები, როგორცაა: „იქნებ როგორღაც დაგვანებოთ თავი“, „უკვე სასაცილოდ არ მყოფნის“, „ვცდილობ ზედმეტი ქალაქდომანით არ გადაგტვირთოთ, რაც ახასიათებს მოსარჩელე მხარეს“, „აიჭრნენ ახლა“ , მოსარჩელის წარმომადგენლის მიმართ - „ბატონო --- ჯიგარი ხარ“, „რავა ყველაფერი იცის ამ პატარა ბიჭმა“ , „უტიფარი სიცრუე“, „უტიფარი სიცრუეები ილაპარაკეს“, „უტიფარი სიცრუეების რაც აქ ჟღერს“, „ბევრი კონსპირაციის თეორია მოვისმინეთ“ და მრავალი სხვა.

ბ) მესამე პირმა მოსამართლეს ულტიმატუმები წაუყენა და მუქარის ენით ესაუბრა, რაც მოსამართლის მხრიდან არ ყოფილა აღკვეთილი.

გ) მესამე პირის წარმომადგენელმა, --- გამოიჩინა სასამართლოსადმი უპატივცემულობა: „მე არ მაქვს ტექნიკური განათლება და რა თქმა უნდა არც თქვენ ბატონო მოსამართლე“, რაც მოსამართლემ დატოვა რეაგირების გარეშე. აღნიშნული --- არაერთხელ გაიმეორა მოსამართლის მიმართ: - „ტექნიკურად გაუნათლებელი ვარ, მათ შორის თქვენც ბატონო მოსამართლე“, ჭკუას ასწავლიდა მოსამართლეს „ეს ადეკვატური რეაგირება არ არის“, „მე ვთვლი, რომ თქვენ მიეცით არასათანადო მითითება, ამაზე ვამახვილებ თქვენს ყურადღებას“ მიმართავდა მუქარით - „თქვენი უკანონო გადაწყვეტილების გამო ექსპერტიზა არ ჩატარდა“, „თუ ფაქტობრივი გარემოებები არ იქნება ჩადებული საქმეში, მომავალში გაითვალისწინეთ ერთ სიტყვას არ ვაპატიებ ამ ხალხს და არც მოსამართლეს“, „ზღვარს გადასულია მოსარჩელე მხარის პოზიციონირება, ბულინგი, ფსიქოლოგიური შეტევა. უკვე დამღალა ამ ხალხის თავნებობამ, რომელსაც ითმენენ მოსამართლეები და პირდაპირ გეტყვით დანაშაულებრივი არასამართლებრივი გულგრილობით ხელს უწყობენ“.

დ) სხდომის დროს საჯარო რეესტრის წარმომადგენელს უწოდა ტექნიკურად გაუნათლებელი, რაზეც მოსამართლემ გააძევა დარბაზიდან. დარბაზის დატოვების დროს საჯარო რეესტრის წარმომადგენელმა

მიამახა „ეხლა ასაჩივრე ეს“ .

1.2. მოსამართლემ ხელი შეუწყო საპროცესო ვადის დარღვევას შემდეგი ქმედებებით:

ა) 2018 წლის 10 სექტემბერს მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულება გაუგზავნა დაგვიანებით 2018 წლის 27 სექტემბერს, სხდომამდე ოთხი დღით ადრე, რითაც არ მისცა შესაძლებლობა მისი მხრიდან მტკიცებულებების მოპოვებისა და წარმოდგენისა, რის გამოც სასამართლომ სხდომა გადადო და დანიშნა ექვსი თვის შემდეგ, რაც ყველანაირ გონივრულ ვადას სცილდება.

ბ) 2018 წლის 22 და 24 ოქტომბერს ჩაბარებული მტკიცებულებები მოსარჩელეებს და საქმეში მონაწილე პირებს გაუგზავნა 124 დღის შემდეგ - 2019 წლის 7 მარტს. გზავნილში არ მიუთითა დოკუმენტების ფურცლების რაოდენობა და შუამდგომლობის თარიღი.

გ) 2018 წლის 7 დეკემბერს კანცელარიაში ჩაბარებული შუამდგომლობა მოსამართლემ მხარეებს გაუგზავნა 108 დღის შემდეგ - 2019 წლის 25 მარტს. შუამდგომლობის წარმოდგენის თარიღის გზავნილში მითითების გარეშე.

დ) საქმის განხილვა ჩანიშნა 2019 წლის 19 აპრილს 16:00 საათზე, მაშინ როდესაც 16:00 საათიდან 17:00 საათამდე სხვა პროცესი ჩაატარა, რის შედეგადაც მათი პროცესისთვის განკუთვნილი დრო მოსამართლემ შეგნებულად 1 საათამდე შეამცირა, რის გამოც ისედაც ორ წელზე გაჭიანურებული საქმე გააჭიანურა კიდევ 70 დღით.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე იყო მიკერძოებული და არაჯეროვნად ასრულებდა მის მოვალეობებს, რაც გამოიხატა შემდეგში:

1) მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა და სხდომის ოქმში არ შეიტანა სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენლის 40 წუთის დაგვიანებით შესვლის ფაქტი მოსამართლემ შეწყვიტა ახსნა-განმარტების ეტაპი და დაგვიანებული -- ცალკე გახსნა სხდომა.

2) მოსამართლემ სახელმწიფოს ხარჯზე გაამრავლა და არ დაუდგინა ხარვეზი მესამე პირის წარმომადგენლს კანცელარიაში ერთ ეგზემპლარად წარდგენილ წერილობითი შუამდგომლობებზე, რაც არ ყოფილა წარდგენილი იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეც არის. ამასთან, მოსამართლემ შეგნებულად დაარღვია საქმის წარმოების წესები, როდესაც საჯარო რეესტრისგან მიღებულ ტექნიკური აღრიცხვის აუკინძავ საარქივო მასალებზე არ მოახდინა რეაგირება. ამასთან, იმაზე ნაკლები მასალები გაუგზავნა მოსამართლემ, ვიდრე საქმეში ჩაკერებული ფურცლების რაოდენობა იყო. ასევე, საქმეში 470-ე ფურცლის შემდეგ რატომღაც მოდის 480-ე გვერდი (დანარჩენი ფურცლების გამქრალია), ორი დოკუმენტი ერთი ნომრით არის ჩადებული საქმეში, მე-3 ტომში გაჩდა 188 პრიმა გვერდი, ჩამატებულია 230-ე და 231-ე გვერდები, გადანომრილი გვერდები გადაშლილია. მოსამართლემ ექსპერტიზის დასკვნის გაყალბების შესაძლებლობა შექმნა, ვინაიდან საქმეში ჩადებისას ნომერი მიანიჭა მხოლოდ პირველ გვერდს, ხოლო დანარჩენი 19 ფურცელი შეგნებულად არ გადანომრა.

3) მოსამართლემ მისი სააპელაციო საჩივარი ელექტრონული საქმის წარმოების ჟურნალში ატვირთა ჩაბარებისთანავე 2019 წლის 9 აგვისტოს, მაშინ როდესაც ყველა მხარისათვის ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, ხოლო მესამე პირმა სააპელაციო საჩივარი ჩააბარა 19 აგვისტოს, რაც დღემდე არ არის ატვირთული ელექტრონული წარმოების ჟურნალში. მოსამართლემ მესამე პირს მისცა საშუალება წინასწარ გაცნობოდა მის სააპელაციო საჩივარს, რადგან თუ მისი სააპელაციო საჩივარი (09/08/2019) მოსამართლემ აღრიცხა ელექტრონულად, ელექტრონულად არ აღურიცხავს მესამე პირის სააპელაციო საჩივარი (19/08/2019). ამასთან, ელექტრონულ ჟურნალში არ ატვირთა 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების მხარეებისათვის ჩაბარების დასტურები, რითაც დამალა გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადა და ამ ვადის მანიპულაციის საშუალება შექმნა.

4) მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის გადადებაზე შუამდგომლობის განხილვის დროს, მესამე პირმა

ნაცვლად სხდომის გადადებაზე პოზიციის დაფიქსირებისა, მოულოდნელად დააყენა შუამდგომლობა მორიგებაზე, რაც გაყენებული იყო ირონიული და დამამცირებელი ტონით, რასაც მორიგებასთან საერთო არაფერი ჰქონდა (02/10/2018, 14:41:33 – 14:41:44) მოსამართლემ გადადების შუამდგომლობაზე პოზიციის დაფიქსირება არ მოსთხოვა მესამე პირს და პროცესუალური ნორმების დარღვევით გადახტა მორიგების საკითხის განხილვაზე.

5) დაარღვია სხდომაზე კანონით დადგენილი სიტყვით გამოსვლის თანმიმდევრობა, მოსარჩელების პოზიციის დაფიქსირების შემდეგ ჯერ მესამე პირის წარმომადგენელს მისცა განმეორებით სიტყვა და შემდეგ მოპასუხის - საჯარო რეესტრის წარმომადგენელს. მოსამართლემ სხდომის ოქმში არ დააფიქსირა მესამე პირის წარმომადგენლის -- -- სხდომის თვითნებური დატოვება, რადგან მესამე პირის მხრიდან დარღვევის გამოაშკარავება არ სურდა.

6) მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ერთ პუნქტში ორი სხვადასხვა შინაარსის საკითხი მოაქცია, როცა მოსამართლეს თითოეულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება სხვადასხვა პუნქტში უნდა აესახა. ამასთან, 27/03/2018, 19/06/2018 და 02/10/2018 წლის ოქმებში დისკის ნომრები აქვს მითითებული, ხოლო 19/04/2019 და 28/06/2019 ოქმებში არ ჩაწერა დისკის ნომრები, რომელზეც ხორციელდებოდა სხდომის ჩაწერა.

7) მოსამართლემ არ უზრუნველყო მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი შესწავლა და შეფასება, როდესაც ექსპერტიზის დასკვნას განიხილავდა. მოსამართლემ უარი თქვა ექსპერტის დაკითხვაზე და შეკითხვით მიმართა არა ექსპერტს, არამედ დამკვეთს - - - -.

8) გამკვების შესახებ მისთვის გაგზავნილი მოსამართლის განკარგულება არ იყო დასაბუთებული, მასში არ იყო კონკრეტული ფაქტები და მსჯელობა შემოფარგლული იყო ზოგადი ფრაზებით.

9) მოსამართლე თავისი გადაწყვეტილებით არ დაემორჩილა და შეცვალა კანონიერ ძალაში შესული 1990 წლის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი, კერძოდ, გადაწყვეტილებაში ჩაწერა სიყალბე - „-- -- ცნობილ იქნა სახლის მესაკუთრედ“, ხოლო 1990 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ შეიტანა ცვლილება შემდეგი სახით: „აღნიშნულ გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნეს ცვლილება იმ მიმართებით, რომ -- -- ცნობილი იქნეს სახლის პირველ სართულზე მესაკუთრედ და არა მთლიანი სახლის მესაკუთრედ.“ ამასთან, სამართლებრივი შეფასება არ მისცა და გადაწყვეტილებაში არ ახსენა უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ საჯარო რეესტრმა განახორციელა თანასაკუთრების რეგისტრაციაში ცვლილება სასამართლოს 2016 წლის 1 ივნისის განჩინების საწინააღმდეგოდ, რომლითაც სასამართლომ საჯარო რეესტრს აუკრძალა ყოველგვარი რეგისტრაციის განხორციელება -- -- მისამართზე. ამასთან, საქმეს დაურთო კანონდარღვევით მოპოვებული ექსპერტიზის დასკვნა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- და -- -- 2017 წლის 8 მაისს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს -- -- სამსახურის გადაწყვეტილებების ბათილად ცნობილ მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 11 მაისის განჩინებით, სარჩელი არ იქნა მიღებული სასამართლო წარმოებაში მოთხოვნის ერთ ნაწილში.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 23 მაისის განჩინებით, -- -- და -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა.

-- -- და -- -- 2017 წლის 23 მაისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას წარუდგინეს

დაზუსტებული სარჩელი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 24 მაისის განჩინებით, დაზუსტებული სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში.

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის 29 მაისს წარადგინა შესაგებელი.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- მიერ 2017 წლის 7 ივლისს ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა. მიღებულ იქნა საოქმო განჩინება საქმეში მესამე პირის ჩაბმის თაობაზე.

-- -- სასამართლოს კოლეგებში დადგენილი ვიწრო სპეციალიზაციის შეცვლასთან დაკავშირებით, 2017 წლის 11 ივლისის მოხსენების საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

მესამე პირის კერძო საჩივართან დაკავშირებით, 2017 წლის 19 ივლისს საქმე გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოში. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 ივლისის განჩინებით, კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 სექტემბრის განჩინებით, საქმის განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა ხუთ თვემდე. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 30 ნოემბრის განჩინებით, კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქმე -- -- სასამართლოში გადაიგზავნა 2017 წლის 13 დეკემბერს. 2018 წლის 27 მარტს საქმეზე გაიმართა მოსამზადებელი სხდომა. საოქმო განჩინებით გამოთხოვილი იქნა საქმის მასალები. საქმეზე მორიგი მოსამზადებელი სხდომა გაიმართა 2018 წლის 19 ივნისს, საქმე ჩაითვალა მომზადებულად და დაინიშნა სასამართლო მთავარი სხდომა. საქმეზე მთავარი სხდომა გაიმართა 2018 წლის 2 ოქტომბერს.

2018 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე, მოსამართლემ მას შემდეგ რაც მოისმინა მხარეთა პოზიციები, საოქმო განჩინებით ექსპერტიზის დასკვნა დაურთო საქმეს. საქმეში (ტომი III) დანომრილია მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის პირველი გვერდი (გვ.108). დასკვნა სულ არის 18 გვერდიანი.

2018 წლის 2 ოქტომბრის სხდომაზე, მესამე პირის წარმომადგენელმა -- -- მიმართა მოსამართლეს შემდეგნაირად: „თქვენი უკანონო გადაწყვეტილებით ექსპერტიზა არ დაინიშნა, აძლევთ შესაძლებლობას ამ ხალხს, რომ ესეთი უდიდესი სიცრუეები ილაპარაკონ ...“

მორიგი მთავარი სხდომა გაიმართა 2019 წლის 19 აპრილს და 28 ივნისს. 2019 წლის 19 აპრილის სხდომა გაიხსნა 16:53:47 საათზე. საქმის განხილვის დაწყებამდე მოსამართლემ განმარტა, რომ პროცესის დაგვიანებით გახსნა განპირობებული იყო სხვა საქმის განხილვის გაგრძელების გამო.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 28 ივნისის განკარგულებით, მოპასუხის და მესამე პირის წარმომადგენლების მიმართ შეუსაბამო განცხადებების, მოსამართლის მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის და მოპასუხის ახსნა-განმარტების მოსმენისათვის ხელის შეშლის გამო, მოსარჩელე -- -- გაძევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით, -- -- და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

-- -- და -- -- 2019 წლის 9 აგვისტოს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი.

მესამე პირმა -- -- სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2019 წლის 19 აგვისტოს.

2.2. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, მოსამართლე -- --:

– 2017 წელს განსახილველად ეწერა ადმინისტრაციული საქმე - 718, საიდანაც დაასრულა - 550 საქმე

- (77%), ასევე, სამართალდარღვევის საქმე - 323, საიდანაც დაასრულა - 322 საქმე (99%).
- 2018 წელს განსახილველად ეწერა ადმინისტრაციული საქმე - 754, საიდანაც დაასრულა - 570 საქმე (76%), ასევე, სამართალდარღვევის საქმე - 49, საიდანაც დაასრულა - 49 საქმე (100%);
 - 2019 წელს განსახილველად ეწერა ადმინისტრაციული საქმე - 893, საიდანაც დაასრულა - 629 საქმე (70%), ასევე, სამართალდარღვევის საქმე - 64, საიდანაც დაასრულა - 63 საქმე (98%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 16 სექტემბრის №161 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ის ქმედება, რომელიც ამავე ორგანული კანონით წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და რომელიც მოსამართლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების შედეგია. აღნიშნული წესი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.

აღნიშნული ქვეპუნქტის თანახმად კანონის დამრღვევი არა მოსამართლე არამედ სხვა პირია. მოსამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ამ ფაქტის თვითმხილველია და ეს ფაქტი მან რეაგირების გარეშე დატოვა. აღნიშნული ხაზს უსვამს მოსამართლის მაღალ სტატუსს და ეხმიანება სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და კომენტარებს. კერძოდ, 6.6 მუხლს, რომლის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით.

სასამართლო სხდომის მსვლელობისას სავალდებულოა წესრიგისა და ეტიკეტის დაცვა. წესრიგში მოიაზრება სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კორექტულობა, რაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაცული იყოს სასამართლო პროცედურის დადგენილი წესები. ეტიკეტში მოიაზრება ზრდილობიანობისა და თავაზიანობის, გულწრფელი ყურადღების ატმოსფერო, რაც საზოგადოების თვალში იმის ნიშანია, რომ სასამართლო საქმეს გულდასმით და სამართლიანად განიხილავს... მოსამართლემ გონივრული ზომები უნდა მიიღოს სასამართლოში წესრიგისა და ეტიკეტის იმ დონეზე დაცვისა და შენარჩუნებისთვის, რომელიც აუცილებელია სასამართლოს მიერ თავისი უფლებამოსილების სამართლიანად და კანონის მოთხოვნების შესაბამისად შესასრულებლად, ამავდროულად ადვოკატების, სასამართლო განხილვის მხარეებისა და საზოგადოებისათვის სამართლიანობისა და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის გარანტიების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-16 მუხლის თანახმად, მოსამართლე უნდა

უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად. მოსამართლის პირადი, საზოგადოებრივი და პროფესიული ქცევა კარგად ინფორმირებული, ობიექტური, კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ უნდა აღიქმებოდეს ღირსეულ, უმწიკვლო ქცევად. სამოსამართლო ეთიკის წესების მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას.

სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით. გულისხმიერებაში, რაღა თქმა უნდა, იგულისხმება, პროცესის მონაწილეთა და დამსწრე საზოგადოების მიმართ ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით მოპყრობა, პროცესზე კანონისა და ეტიკეტის შესაბამისი მოქმედება, წესრიგის დაცვა, პროცესის მონაწილეთა თანაბარი უფლებებით აღჭურვა, დისკრიმინაციული გამონათქვამებისა თუ დისკრიმინაციული მოპყრობის დაუშვებლობა. მოსამართლე ასევე გულისხმიერი და თავაზიანი უნდა იყოს აპარატის თანამშრომლების მიმართ, აპარატის თანამშრომლების მიმართ დამოკიდებულება გულისხმიერი მოპყრობის სათანადო მაგალითს უნდა წარმოადგენდეს.

მოსამართლის ქმედებაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXV თავზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მთავარი სხდომის წარმართვის (ჩატარების) წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა შორის არსებული დავის სწორად და კანონის შესაბამისად გადაწყვეტას, მათი საპროცესო უფლებების სრული რეალიზაციის შესაძლებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დაცვის მიზნით მოსამართლის მითითებათა სავალდებულოობის წესს. კანონმდებელი მითითებული კოდექსის 211-ე მუხლში განმარტავს, რომ მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში კანონი ადგენს იმ სანქციებს, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც აქვს მოსამართლეს. საქმის განხილვის მსვლელობისას მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი მართოს პროცესი. სასამართლოს ნებართვის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი განცხადება (მათ შორის მოქმედებაც) მოსამართლის მიერ შეიძლება აღქმული იქნეს წესრიგის დარღვევად და სამართლიანად დაექვემდებაროს საპროცესო პასუხისმგებლობის ღონისძიებას. საქმის განხილვაში მონაწილე ნებისმიერი პირის ვალდებულებაა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს, ხელს არ უშლიდეს სასამართლოს საქმიანობას, ასრულებდეს მოსამართლის მითითებებს და ემოციის საფუძველზე აშკარად არ გამოხატავდეს სასამართლოს ან პროცესის მონაწილეების (მათ შორის დარბაზში მყოფი პირების) მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოში - უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე), რომელიც უფლებამოსილია სხდომის დარბაზში დამსწრე პირთა ადგილების გათვალისწინებით შეზღუდოს სხდომაზე დამსწრეთა რაოდენობა.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიცემთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საჩივრის ავტორი უთითებს მხარეთა შორის გამართულ დიალოგებზე, კამათზე თუ სხვა ისეთ ფაქტებზე, რაც თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო სხდომის დარღვევას. მოცემულ შემთხვევაში შესწავლილ იქნა სხდომის აუდიო- და ვიდეოჩემბრები, რის შედეგადაც სასამართლოსა და მხარეთა მხრიდან სხდომების მიმდინარეობისას დაფიქსირდა შემდეგი გამონათქვამები:

- მესამე პირის წარმომადგენელმა -- -- მიმართა მოსარჩელე მხარეს და შესთავაზა მორიგება, რა დროსაც ახსენა სიტყვები - „იქნებ როგორღაც გაგვანებოთ თავი, იფიქრეთ ხალხო მორიგებაზე...“;
- სხდომის მიმდინარეობისას, მაშინ როდესაც საუბრობდა -- --, პროცესზე დასმწრე დაუდგენელი პირის მხრიდან, რომელიც სხდომის ოქმით არ იდენტიფიცირდება, გაკეთებული იყო რეპლიკა: -„უკვე სასაცილოდ აღარ მყოფნის“.
- მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- აღნიშნა, რომ: „...1992 წლის ხელშეკრულებას რაც შეეხება, ბოდიშს ვიხდი, ბრწყალეებში, ბევრი კონსპირაციის თეორია მოვისმინეთ, გარდა ერთი იმისა, რომ ეს შესაძლებელია იყოს ტექნიკური ხარვეზი...“.
- მესამე პირის წარმომადგენელმა -- -- შუამდგომლობაზე მოსაზრებების გამოთქმისას აღნიშნა, რომ: „...მე შევუმსუბუქებ სასამართლოს ამ ტვირთს, ამ შუამდგომლობიდან გამომდინარე, ძალიან ლიბერალური ვარ და მიიხსნა, რომ ავუმჩატო სასამართლოს ეს ტვირთი და ვცდილობ, ეს რაღაც, ზედმეტი ქაღალდომანით, რაც ახასიათებს მოსარჩელე მხარეს, არ გადამეტვირთა...“.
- პროცესზე მყოფი პირის მხრიდან, რომელიც სხდომის ოქმის შედეგად არ იდენტიფიცირდება, მოსარჩელე -- -- საუბრისას, ნათქვამი იყო შემდეგი: „აიჭრენ ახლა“.
- მოსარჩელის წარმომადგენელს -- --, ასევე, სხდომის ოქმის შედეგად არა იდენტიფიცირებულმა პირმა, მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ბატონო --, ჯიგარი ხართ“.
- მესამე პირის წარმომადგენელს -- -- და მოსარჩელეებს -- -- შორის თვითნებურად წამოწყებული საუბარი გადაიზარდა კამათში, რაზეც მოსამართლემ მოუწოდა სიმშვიდისკენ.
- მესამე პირის წარმომადგენელმა -- -- შუამდგომლობა დააყენა მორიგებაზე, რა დროსაც მოსარჩელეების მისამართით აღნიშნა, რომ „...ძნელი საურთიერთო ხალხი არიან, დიპლომატიურად რომ ვთქვათ...“.

2018 წლის 19 ივნისის სხდომაზე, მესამე პირის წარმომადგენელმა -- -- აღნიშნა: „ადგილზე დათვალიერებასთან დაკავშირებით თქვენი პოზიციის გაჟღერების დროს, გაიჟღერა რამდენიმე არაზუსტმა ინფორმაციამ, კერძოდ, 14/05/2018-ში მაქვს წარმოდგენილი შუამდგომლობა თქვენთან ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით, ასევე წარმოვადგინე ექსპერტიზის განუხორციელებლობის შესახებ ინფორმაცია. ...აქ გაიჟღერა --, რომ გაუნათლებელი ხართ ტექნიკურად, გასაგებია, და არ მაქვს პრეტენზია, რომ ტექნიკურად განათლებული ვარ და ზეგანათლებული ვარ. არცერთი იურისტი და მათ შორის თქვენ არ ბრძანდებით...“.

2018 წლის 19 ივნისის სხდომაზე, მესამე პირის წარმომადგენელმა -- -- აღნიშნა, რომ მისთვის -- -- გამონათქვამები შეურაცხმყოფელი იყო, რაზე რეაგირებასაც ითხოვდა მოსამართლისგან. მოსამართლის მხრიდან აღინიშნა, რომ თუ ხედავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს უნდა მიმართონ შესაბამის ორგანოებს. თავისმხრივ -- -- მიერ აღინიშნა, რომ ეს არ იყო ადეკვატური რეაგირება - „...მე ვთვლი, რომ თქვენ მიეცით არასათანადო მითითება, ამაზე ვამახვილებ ყურადღებას“, „თქვენი უკანონო გადაწყვეტილების გამო ექსპერტიზა არ ჩატარდა“, სასამართლოს პატივისცემას გამოვხატავ, მაგრამ გაითვალისწინეთ, ერთ სიტყვა ზედმეტს არ ვაპატიებ ამ ხალხს და არც მოსამართლესთან არ ვაპირებ...“

მართალია სხდომის მსვლელობის დროს დაფიქსირდა კამათისა თუ უპატივცემულობის ნიშნები, თუმცა მოსამართლემ აღნიშნული ფაქტის შემდგომ მხარეებს მოუწოდა წესრიგის დაცვისაკენ. ამასთან, -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2019 წლის 28 ივნისის განკარგულებით, მოპასუხის და მესამე პირის წარმომადგენლების მიმართ შეუსაბამო განცხადებების,

მოსამართლის მოწოდებისადმი დაუმორჩილებლობის და მოპასუხის ახსნა-განმარტების მოსმენისათვის ხელის შეშლის გამო, მოსარჩელე -- -- გამევებულ იქნა სხდომის დარბაზიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამართლის ან სხვა პირების უპატივცემულობას, წარმოთქმული ფრაზების კონტექსტის გათვალისწინებით და მოსამართლის მხდრიდან რეაგირების გარეშე დატოვებას ადგილი არ ჰქონია.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (*Frydlander v. France*, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (*Koenig v. Germany*, §98).

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად აღნიშნავს, რომ საქმეები არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანგრძლივად. აგრეთვე, ზოგიერთი გარემოების არსებობისას, ისინი არ უნდა განიხილებოდეს შეუსაბამოდ ხანმოკლე დროში, თუ ეს დააზიანებს მომხმარებელთა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას.¹

სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულ წარმართვაში. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (*Von Maltzan and Others v. Germany (dec.)* [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.²

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი

¹ მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ), სასამართლო დროის მენეჯმენტის SATURN-ის განახლებული სახელმძღვანელო მითითებები (მე-2 რედაქცია), სტრასბურგი, 2014 წლის 12 დეკემბერი, გვ. 2

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინება, საქმე №ას-1234-1175-2014

ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქმედების საპროცესო ვადის არსებით დარღვევად მიჩნევისთვის, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი (საქმე მოსამართალე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 1 წელი, 7 თვე და 6 დღე), საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა საქმის მოცულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული არაერთი საპროცესო მოქმედება, ჩატარებული სხდომები, განხილული შუამდგომლობები და განცხადებები, არ ქმნის საკმარის საფუძველს მოსამართლის მიერ საქმის განხილვისათვის დადგენილი საპროცესო ვადის ბრალეულ დარღვევად მიჩნევისათვის.

4.3. საჩივრის ავტორი საჩივარში სხვადასხვა შესაძლო საპროცესო დარღვევაზე მიუთითებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით.

ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.³ იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძველით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.⁴

1) საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა და სხდომის ოქმში არ შეიტანა სხდომაზე მესამე პირის წარმომადგენლის 40 წუთის დაგვიანებით შესვლის ფაქტი მოსამართლემ შეწყვიტა ახსნა-განმარტების ეტაპი და დაგვიანებული -- ცალკე გახსნა სხდომა.

დადგენილია, რომ 2019 წლის 19 აპრილის სხდომა გაიხსნა 16:53:47 საათზე. საქმის განხილვის დაწყებამდე მოსამართლემ განმარტა, რომ პროცესის დაგვიანებით გახსნა განპირობებული იყო სხვა საქმის განხილვის გაგრძელების გამო.

2) საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ სახელმწიფოს ხარჯზე გაამრავლა და არ დაუდგინა ხარვეზი მესამე პირის წარმომადგენლს კანცელარიაში ერთ ეგზემპლარად წარდგენილ წერილობითი შუამდგომლობებზე, რაც არ ყოფილა წარდგენილი იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეც არის. ამასთან, შეგნებულად არასწორად გადანომრა საქმის მასალებში გვერდები.

მართალია კანონი ითვალისწინებს დოკუმენტების იმდენ ეგზემპლარად წარდგენის ვალდებულებას, რამდენი მხარეც არის, თუმცა აღნიშნულის მთავარი მიზანი მხარეთა უფლებების დაცვა და ყოველი პირისათვის საქმის მასალებზე წვდომის უზრუნველყოფაა. შესაბამისად, ყველა მხარისათვის საქმის მასალებზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობის მიცემის მიზანი მოსამართლის მიერ დაცული იქნა.

³ „მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99, §67

⁴ მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24

http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

რაც შეეხება გვერდების არასწორ გადანომვრას, აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომას.

3) საჩივრის ავტორის მტკიცებით მოსამართლემ მისი სააპელაციო საჩივარი ელექტრონული საქმის წარმოების ჟურნალში ატვირთა ჩაბარებისთანავე 2019 წლის 9 აგვისტოს, ხოლო მესამე პირმა სააპელაციო საჩივარი ჩააბარა 19 აგვისტოს, რაც დღემდე არ არის ატვირთული ელექტრონული წარმოების ჟურნალში. ამასთან, მოსამართლემ ელექტრონულ ჟურნალში არ ატვირთა 2019 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების მხარეებისათვის ჩაბარების დასტურები, რითაც დამალა გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადა და ამ ვადის მანიპულაციის საშუალება შექმნა.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტების საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში ატვირთვის კონკრეტულ ვადას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. იმის მიუხედავად მოსამართლე ატვირთავს თუ არა ელექტრონულ საქმისწარმოების პროგრამაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარისათვის ჩაბარების დამადატურებელ დოკუმენტს მხარეთა გასაჩივრების ვადა არ იცვლება. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა სააპელაციო ინტანციის სასამართლოში მხარეთა გასაჩივრების ვადასა თუ შესაბამისი უფლებით სარგებლობაზე.

4) მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის გადადებაზე შუამდგომლობის განხილვის დროს, მესამე პირმა ნაცვლად სხდომის გადადებაზე პოზიციის დაფიქსირებისა, მოულოდნელად დააყენა შუამდგომლობა მორიგებაზე. მოსამართლემ გადადების შუამდგომლობაზე პოზიციის დაფიქსირება არ მოსთხოვა მესამე პირს და პროცესუალური ნორმების დარღვევით გადახტა მორიგების საკითხის განხილვაზე.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს.

ამდენად, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს პირდაპირ ავალდებულებს საქმის მორიგებით დასრულებისათვის ყველანაირი ღონისძიების გამოყენებას. მოსამართლის ქმედება სრულ შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობასთან და რაიმე სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები არ იკვეთება.

5) მოსამართლემ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ერთ პუნქტში ორი სხვადასხვა შინაარსის საკითხი მოაქცია, როცა მოსამართლეს თითოეულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება სხვადასხვა პუნქტში უნდა აესახა. ამასთან, მოსამართლემ არ უზრუნველყო მტკიცებულებების სრული და ყოველმხრივი შესწავლა და შეფასება. მოსამართლეს 27/03/2018, 19/06/2018 და 02/10/2018 წლის ოქმებში დისკის ნომრები აქვს მითითებული, ხოლო 19/04/2019 და 28/06/2019 ოქმებში არ ჩაწერა დისკის ნომრები. ამასთან, გაძევების შესახებ მისთვის გაგზავნილი მოსამართლის განკარგულება არ იყო დასაბუთებული, მასში არ იყო კონკრეტული ფაქტები და მსჯელობა შემოფარგლული იყო ზოგადი ფრაზებით. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლე თავისი გადაწყვეტილებით შეცვალა კანონიერ ძალაში შესული 1990 წლის სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი, ხოლო სამართლებრივი შეფასება არ მისცა საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს. ამასთან, მოსამართლემ კანონის დარღვევით მოპოვებული ექსპერტიზის დასკვნა კანონდარღვევით დაურთო საქმეს. საჩივრის ავტორის მითითებით ყოველივე ზემოაღნიშნული მოსამართლის მიკერძოებულ დამოკიდებულებასა და ტენდენციურობაზე მიუთითებს

დადგენილია, რომ სხდომის ოქმში მიღებული ყველა საოქმო განჩინება ისმინება და ისევე, როგორც მიღებული განჩინებები დასაბუთებულია. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფორმალურად მოსამართლის ქმედებები არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს ან შეიცავს მცირე მნიშვნელობის საპროცესო დარღვევებს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენაზე, რადგანაც ქმედებები არ ექცევა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის ფარგლებში.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, 2019 წლის 16 სექტემბრის №161 საჩივარში არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის მეორე პუნქტისა და 75¹³ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №161/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**